თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 7 აგვისტო
მორიგი სხდომის
ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 7 აგვისტო 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაზე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. შალვა ჭანკვტეაძე, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21 ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24.მერაბი ბასილაძე, 25. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. კობა კირკიტაძე, 3. ტარიელ ფანჩულიძე, 4. რუსუდან კოვზირიძე, 5. როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{35}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის დაწყებამდე, საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2008 წლის 8 აგვისტოს, ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282419953, 17.07.2024 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩაშვილი

2. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824419260, 10.07.2024 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 24 00019914, 16.07.2024 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28242111, 29.07.2024 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცება(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824214112, 01.08.2024 წ.);

   მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დასმტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824214112, 01.08.2024 წ).

   მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო დაფინანსება 700.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 700.0 ათასი ლარით და შეადგენს 31769,7 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 700.0 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 700.0 ათასი ლარით. მათ შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 670.0 ათასი ლარით.
კომუნალური მეურნობის განვითარების ასიგნება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ (განკარგულება № გ-29.29242204, 07.04.2024 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ცვლილება ითვალისწინებს მოსაკრებლების განაკვეთების ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. ხარვეზი გამოვლინდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად(საქართველოს მთავრობის ადმინსტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2024 წლის 16 ივლისის №GOV6 24 00019914 სამართლებრივი დასკვნა) .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 5

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №14, 07.08.2024 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - წარმოდგენილი პროექტით განისაზღრება შეღავათებით მოსარგებლე პირთა კატეგორიისათვის წყლის მოხმარების ლიმიტების ზღვრები ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის" შემოთავაზებული ოდენობებით, რაც უზრუნველყოფს ჭარბი წყლის მოხმარების თავიდან აცილებას და საწარმოო დანახარჯების შემცირებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 5

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29242200001, 07.08.2024 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნოთერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა

გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლაინობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინასური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29242202, 07.08.2024 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამაში გაუქმდა კრიტერიუმი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები (შეიქმნა ახალი პროგრამა), შესაბამისად შემცირდა პროგრამის ბიუჯეტისც 4500 ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29242203, 07.08.2024 წ.).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებმა, ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლებმა უპასუხეს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი